

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები გერმანიაში

(ილია ხიმშიაშვილი)

მაგისტრანტი - ეთერი ბროლაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კავკასიის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერების (კავკასიის კვლევები) პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ბუხრაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს

ბატონ გიორგი გვალას

ამავე ფაკულტეტის მაგისტრანტის ეთერი ბროლაძის

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ეთერი ბროლაძე, 2015

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ისტორიული ხასიათის კვლევას აჭარიდან თურქეთში გადასახლებულ და თურქეთიდან გერმანიაში ემიგრირებულ ეთნიკურ ქართველებზე. ამ დროს ადგილი ჰქონდა ისეთ მოვლენას როგორცაა მუჰაჯირობა. გამოთქმა „მუჰაჯირი ქართველი“ მკვიდრდება XIX საუკუნის ბოლოს საქართველოდან თურქეთში გადასახლებული ქართველების აღსანიშნავად. მუჰაჯირი ქართველები კი ერთმანეთს „ჩვენებურებს“ ეძახიან.

მუჰაჯირობას რთული ისტორია აქვს, რომელმაც ფართო ხასიათი მიიღო 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მომდევნო წლებში. მუჰაჯირობა ქართველი ხალხის ისტორიაში ერთ-ერთი უმძიმესი ტრაგედია იყო, რის შედეგადაც ძირძველი ქართული მიწა მოსახლეობისაგან დაიცალა. ამ მოვლენის შედეგად თურქეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სივრცეში მოხვედრილი მუჰაჯირები ნებით თუ უნებლიედ ითვისებდნენ უცხო ტრადიციებს. ასიმილაციის ბუნებრივი პროცესის მიუხედავად ისინი მაინც ახერხებდნენ ადათ-წესების, ტრადიციების შენარჩუნებას და თვითიდენტობის განცდას.

ნაშრომში განხილულია მუჰაჯირობის გამომწვევი მიზეზთა მთელი კომპლექსი, სადაც გაერთიანებულია რუსული იმპერიალისტური ზრახვები, თურქეთის აგენტურა, ხალხის გაუნათლებლობა, ფანატიზმით გამსჭვალული სასულიერო პირები, ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობა, რომლებიც მუსლიმან ქართველებს „თათრებად“ მოიხსენიებდნენ.

მუჰაჯირთა ისტორიას განვავრცობთ მათი შთამომავლის - ილია ხიმშიაშვილის მაგალითზე, რომლის წინაპრები ხსენებული ომის შედეგად გადასახლებულთა შორის იყვნენ, განაგრძობდნენ ცხოვრებას თურქეთის ტერიტორიაზე, ხოლო უკვე XX

საუკუნის 60-იანი წლებიდან როგორც თურქეთის მოქალაქეების უმრავლესობა, ილია ხიმშიაშვილიც გერმანიაში განაგრძობს ცხოვრებას.

ნაშრომს საფუძვლად უდევს პროფესორ პაატა ბუხრაშვილის მიერ 2007 წელს ეპპელჰაიმში (გერმანია) ჩაწერილი ინტერვიუ ილია ხიმშიაშვილთან, სადაც ის იხსენებს თურქეთ - გერმანია - საქართველოში ცხოვრების დეტალებს. ასევე გამოყენებულია ჩვენი ჩაწერილი ინტერვიუ პროფესორ ლია ჩლაიძესთან, რომელმაც საინტერესო ინფორმაცა მოგვაწოდა ილია ხიმშიაშვილის შესახებ.

ნაშრომი მიზნად ისახავს აჭარიდან თურქეთში გადასახლებული ქართველების ყოფის ასახვას, თუ რა გარემოებებში უხდებოდათ გადასახლებულებს საკუთარი იდენტობის შენარჩუნება განსხვავებული კულტურისა და ტრადიციების პირობებში.

წინამდებარე კვლევას მნიშვნელობა ენიჭება იმ თვალსაზრისით, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე, პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს უახლოესი მეზობლის - თურქეთის ისტორიული წარსულის გააზრება და გათვალისწინება თურქეთელ ქართველებთან მიმართებაში. ასევე აქტუალურია XX საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ უკვე გერმანიაში, უცხო კულტურულ გარემოში მათი მიგრაციის შესწავლა, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური ინტეგრაციის კუთხით, ეროვნულ-რელიგიური ფასეულობების შენარჩუნების და საკუთარი იდენტობის გაცხადების ფონზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მუჰაჯირობა, თურქეთელი ქართველები, ილია ხიმშიაშვილი, ეთნიკური იდენტობა.

Descendants of Georgian Muhajiri in Germany

(Ilia Khimshiashvili)

Abstract

This work is a historical research, about ethnic Georgians, migrated in Turkey from Ajara and migrated from Turkey to Germany. At this time, “Muhajiroba” was popular. The term – “Georgian Muhajiri” takes place at the end of the 19th century for to denote Georgians migrated from Georgia into turkey. “Georgian Muhajiri” call to each other “ Chveneburebi”.

“Muhajiroba” has a complex history, which increased in 1877-1878, after Russia- Turkey war years.”Muhajiroba” was the big tragedy in the history of Georgian people. Then, ancient Georgian land was emptied from the population. As a result of this fact, “Muhajirebi” who were in political, economical and cultural area of Turkey, were mastering foreign traditions. Despite of natural assimilation process, they were managing to keep their customs, traditions and feeling self-identity.

In this work, there is described the whole complex, which causes “Muhajiroba”, where is united Russian imperialistic intensions, Russian espionage, people’s illiberality, priests imbued with fanaticism, local Christian population, who call Georgians “Tatrebi”.

We should extend “Muhajirebi’s history on the descendant example- Ilia Khimshiashvili. His ancestors were between the migrated people, they were continuing living on the territory of Turkey. After 60ies of 20th century, Ilia Khimshiashvili also continues living in Germany, as most of the citizenships of Turkey.

The work is based on professor Ilia Khimshiashvili’s interview recorded by Paata Bukhrashvili in Eppelheim (Germany), 2007, where he is speaking about details of living in Georgia, Turkey and Germany. Also, we have used interview with Professor Lia Chlaidze, who gave us interesting information about Ilia Khimshiashvili.

The goal of this work is to describe the people's being migrated from Ajara to Turkey. How they keep their self identity, in the different cultural and traditional conditions.

This work is important, because of its construction way of independent country , it represents practical interest of the closest neighboring country- to understand historical past of Turkey and foreseen it regarding in Turkish Georgians. Also, there is actual, after 60ies of 20th century, to study their migration in foreign country, Germany, in economical, cultural and social integration aspect, on the background of keeping national-religious values and own self identity.

Basic key words: Georgian Muhajiri, Turkish Georgians, Ilia khimshiashvili, Ethnic identity.